



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 8/34

2023 წლის 28 ივნის

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 2023 წლის 20 ივნისს წარდგენილი (განცხადების ნომერი: 19/43231714-43) საკრებულოს განკარგულების პროექტის „ქალაქ ფოთში არსებული ფანტანების, მინი სპორტული მოედნების, ბავშვთა სათამაშო მოედნების და სკვერების მდგომარეობისა და მათი უსაფრთხოების დადგენასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ მიღებაზე უარის თქმისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერზე დავალების გაცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2023 წლის 20 ივნისს, საკრებულოს წარუდგინა(განცხადების ნომერი: 19/43231714-43) განკარგულების პროექტი „ქალაქ ფოთში არსებული ფანტანების, მინი სპორტული მოედნების, ბავშვთა სათამაშო მოედნების და სკვერების მდგომარეობისა და მათი უსაფრთხოების დადგენასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, რომლითაც ფრაქციამ ითხოვა დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში არსებული შადრევნების, მინი სპორტული მოედნების, ბავშვთა სათამაშო მოედნების, სკვერების მდგომარეობისა და მათი უსაფრთხოების დადგენასთან დაკავშირებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით იქმნება კომისიები. ამდენად, განკარგულების პროექტში დასმული საკითხები, უნდა განიხილოს საკრებულოს შესაბამისმა კომისიებმა (სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ) და დამატებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა არ არის მიზანშეწონილი.

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №14/49 დადგენილების შესაბამისად, მერიის სამსახურების, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ვალდებულებაა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების, ინფრასტრუქტურის(მათ შორის შადრევნების, მინი სპორტული მოედნების, ბავშვთა სათამაშო მოედნების, სკვერების) მოვლა-პატრონობა, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 48-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მერი უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის

წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებების აღსრულებას. ამავე კოდექსის 50-ე მუხლის შესაბამისად, მერია უზრუნველყოფს საკრებულოს დავალებების შესრულებას.

ამდენად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს უნდა დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების, ინფრასტრუქტურის(შადრევნების, მინი სპორტული მოედნების, ბავშვთა სათამაშო მოედნების, სკვერებისა და სხვა) უსაფრთხოების დაგენერაციისა და შესაბამისი სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით გაატაროს ქმედითი ღონისძიებები, მათ შორის: ა) შექმნას სამუშაო ჯგუფი შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტების, საკრებულოს ყველა ფრაქციის წარმომადგენლის მონაწილეობით; ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვები; გ) საკრებულოს წარუდგინოს საბიუჯეტო განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვები; დ) დადოს ხელშეკრულებები შესაბამის საექსპერტო დაწესებულებებთან; ე) ცვლილებები; დ) დადოს ხელშეკრულებები შესაბამის საექსპერტო დაფუძნებულ იურიდიულ პირებს შესაბამისი სამუშაოების დაავალოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს შესაბამისი სამუშაოების განხორციელება და სხვა. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიან ნაციონალურ მომრაობას“ უარი ეთქვას 2023 წლის 20 ივნისს წარდგენილი (განცხადების ნომერი: 19/43231714-43) საკრებულოს განკარგულების პროექტის „ქალაქ ფოთში არსებული ფანტანების, მინი სპორტული მოედნების, ბავშვთა სათამაშო მოედნების და სკვერების მდგომარეობისა და მათი უსაფრთხოების დადგენასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ მიღებაზე.

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს დაევალოს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების, ინფრასტრუქტურის (შადრევნების, მინი სპორტული მოედნების, ბავშვთა სათამაშო მოედნების, სკვერებისა და სხვა) უსაფრთხოების დადგენასთან და შესაბამისი სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით გაატაროს ქმედითი ღონისძიებები, მათ შორის: ა) შექმნას განახორციელებასთან დაკავშირებით გაატაროს ქმედითი ღონისძიებები, საკრებულოს ყველა ფრაქციის სამუშაო ჯგუფი შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტების, საკრებულოს წარუდგინოს საბიუჯეტო განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვები; ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვები; გ) საკრებულოს წარუდგინოს საბიუჯეტო განახორციელებები; დ) დადოს ხელშეკრულებები შესაბამის საექსპერტო დაწესებულებებთან; ე) ცვლილებები; დ) დადოს ხელშეკრულებები შესაბამის საექსპერტო დაფუძნებულ იურიდიულ პირებს შესაბამისი სამუშაოების დაავალოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს შესაბამისი სამუშაოების განხორციელება და სხვა. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა, აღნიშნული განკარგულების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში, განკარგულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში: არსებული მდგომარეობის, გატარებული ღონისძიებების და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. ანგარიშის წარდგენის ვადა შეიძლება გადაიწიოს მერის დასაბუთებული მომართვის საფუძველზე, გონივრული ვადით, აღნიშნულ საკითხს ცნობად იღებს საკრებულოს შესაბამისი კომისია (სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია ან/და ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-დარგების შესაბამისად).

4. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნული განკარგულების შესრულებასთან დაკავშირებით გაატაროს შესაბამისი ქმედითი ღონისძიებები, მათ შორის განსაზღვროს პასუხისმგებელი პირი/პირები.

5. განკარგულების შესრულების კონტროლი დაევალოს:

- ა) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას;
- ბ) ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას.

მუხლი2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ტყებუჩავა

